მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

�გᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ (ᲗᲔᲕᲗᲘ) 15-31 №1 (359) (5772) 2012

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:



ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ „ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ. II ᲒᲕ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲚᲔᲚᲐ ᲬᲘᲬᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲜᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐᲡ III ᲒᲕ.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 75 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ. ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ: ᲘᲪᲮᲐᲙ ᲒᲔᲠᲑᲔᲠᲒᲘ, ᲠᲔᲖᲝ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲤᲘᲠᲣᲖ ᲙᲝᲩᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. IV—V ᲒᲕ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ“ ᲐᲥᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲔᲜ V ᲒᲕ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲰᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲔᲑᲰᲐᲔᲚᲗᲐ ᲘᲣᲛᲝᲰᲘᲡ ᲣᲧᲰᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ VI ᲒᲕ.

ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ �რᲐᲑᲘᲜᲘᲡ Მ.Შ. ᲐᲑᲘᲛᲔᲚᲔᲮ ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲚᲐᲢᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ VII ᲒᲕ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲮᲐᲜᲣᲫᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. VIII ᲒᲕ.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲔ – ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ბ-Ნ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲠᲝᲙᲔᲢᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ახალციხელების ლოცვა შთამომავალთა ხელში

მე - რაბი (ესა და ეს)

შოთა ბოსტანაშვილი

წერილი მეხუთე — ფარაშასავით



აქ, სათაურად გამოტანილი დაუმთავრებელი ფრაზით დავამთავრეთ წინა წერილი („მენორა“ №24, 2011). ამ ფრაზის დამთავრებას, ანუ ახალი რაბინის გვარის და სახელის გაგებას, სულ ცოტა 5 თვე მაინც სჭირდება. მეორე მხრივ, ნიშანს „მე - რაბი“ დამოუკიდებელი, პოლისემანტური (მრავალმნიშვნელოვანი) ღირებულება აღმოაჩნდა. ასე მაგალითად: ***მე, როგორც რაბი; მე/რაბი; მე და რაბი; მერაბი; რაბი და მერაბი.*** ლინგვისტური თამაში ხშირად სინამდვილეს ემთხვევა, ხოლო შემთხვევითობა — კანონზომიერებას. ერთი სიტყვით, რითაც დავამთავრე წინა წერილი, იმითვე მინდოდა *დამეწყო ახალი.* ეს აზრი ასეც შემეძლო ჩამეწერა: რითაც დავამთავრე წინა წერილი, იმითვე *განვაგრძოთ* (დაწყებული ან ძველი ამბავი). წერილის დაწყების ამ ორ ვარიანტს შორისაც არჩევანი „ვერ“ გავაკეთე და, როგორც ხედავთ, ორივე გამოვიტანე.

აი, რამ დამაფიქრა: ერთი საქმეა ხდომილება (მუდამ რაღაც ხდება), სხვა საქმეა, როგორ ითქვას და ჩაიწეროს ის, რაც ხდება (მოხდა, მოხდება), ანუ *როგორ გარდაიქმნას ხდომილება ამბად,* თქმად (თქმულებად) და ნაწერად (წერილად, წიგნად). ეს სირთულე ბევრ რამეზეა დამოკიდებული და საბოლოო ჯამში, მწერლის *გაგებაზე* და ენის *გ/აგებაზე* (იმაზე, თუ როგორ ააგებს ენა ხდომილებას თავისი გრამატიკის ინსტრუმენტარიებით). ამიტომ, ამბავი (თქმულება, ნაწერი) უკვე მომხდარის „განმეორებაა“ (მათ შორის - გამონაგონის), მრავალგვარი წაკითხვებით, ვერსიებით. უფრო სხარტად თუ ვიტყვით, ***ყველა ამბავი თამაშია ენასა და ხდომილებას შორის***, რომელშიც ისინი (მოთამაშეები), არცთუ იშვიათად, იდენტური ფიგურები არიან. ეს აზრი ასეც შეიძლება გამოითქვას: ***რაც ხდება ენაში, მხოლოდ ის ხდება სინამდვილეში, რომელიც მოუხელთებელია ენის გარეშე.*** *ენის გარეშე* (ტექსტის იქით) *კი, არაფერია.* ეს უკვე რადიკალურად განსხვავებული აზრია, თუმცა...

ალბათ იკითხავთ, რატომ შევყევი ასე გულმოდგინედ განზოგადებულ განსჯებს. ჯერ ეს ერთი, ***ბევრი რამ ხდება ჩვენი ახალციხელების ლოცვაში და საინტერესოა თუ როგორ მოიხელთებს ამ ხდომილებებს ენა***, *როგორ გადააქცევს ამბავად.*

წინა წერილში შემოთავაზებულმა „ექვსმა თამაშმა“ მკითხველის შეკითხვა (დაინტერესება) გააჩინა - რატომ თამაში? მოდით ასე დავსვათ კითხვა: (1.) რაიმე ამბავი — *სიფურ, მაშალ, აგადა, დარაშ, ფარაშა, მა(ყ)ასე* (ებრ.) — ფართე გაგებით, ერთის (ერთიანის), „ძველის“, თავდაპირველის, დასაწყისის (ბერეშით) გაგრძელებაა, თუ (2.) - დამოუკიდებელი (ავტონომიური) ხდომილებაა?, ან (3.) - ერთიცაა და მეორეც? სამივე კითხვაზე შეიძლება პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, დასაბუთებული - წყაროს მითითებით, ანუ პასუხი კითხვაზე: *საიდან ვსწავლობთ?* სწორედ ეს კითხვა ქმნის სწავლის კონსტრუქციას, თალმიდ-ხახმობის შესაძლებლობას.

პასუხი პირველ კითხვაზე: თორის კვალობაზე, ყველა ამბავს და ხდომილებას ერთი საწყისი აქვთ, რადგან ისინი შესაძლებელნი არიან ალეფ-ბეთის (დამწერლობის) იმ ოცდაორი ნიშნის საშუალებით, რომლებიც უფრო ადრე შეიქმნენ, ვიდრე ხდომილებათა ფიზიკური სამყარო - (ყ)ოლამ ჰაზე.

პასუხი მეორე კითხვაზე: ყოფითი პრაქტიკის კვალობაზე, ყოველ ხდომილებას, როგორც ამბავს (ნათქვამს და ნაწერს) აქვს თავისი თავი და ბოლო, დასაწყისი და დასასრული. ერთი საქმეა თუ რა კავშირი აქვთ სხვადასხვა ამბებს ერთმანეთთან, ან რა მექანიზმით ჩნდებიან მსგავსების ასოციაციები (ინტერტექსტი), მაგრამ ამბავიც იმიტომ ეწოდა ***ამბავს***, რომ ***ამ ბმას*** ემორჩილება, თავისი საზღვრები გააჩნია.

პასუხი მესამე კითხვაზე: რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც, ანუ ყოველი ამბავი ლოკალურიც არის, კონკრეტულიც და ზოგადიც *(ინდუქცია, დედუქცია),* რომელთა შორის არსებული საზღვრის გადალახვა შესაძლებელია და ეს შესაძლებლობა - თავისუფალი მიმოსვლა — მკითხველის უნარზეა დამოკიდებული. ხატოვნად რომ ვთქვათ, ***ამ*** (ყ)ოლამსა და ***იმ*** ყოლამს შორის, ფრ***ენა*** და ***ენა*** აშკარად კავშირშია; ან არის ამის უნარი, ანდა - უარი.

აი, ასეთი წესებია. და სადაც წესებია, თამაშიც იქ არის, და პირიქით, არ არსებობს თამაში წესის და რიტუალის გარეშე. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თამაშის უზენაესობის დასტურად იოჰან ჰაიზინგას ავტორიტეტული წიგნიც („კაცი მოთამაშე“) კმარა. ანდა სად იყო ჰაიზინგა, როცა დავიწესეთ, რომ თორის ბოლო ფრაზა („მთელი ისრაელის თვალწინ“) და პირველი ფრაზა („თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“) წელიწადის იმ ერთ „წერტილში“ უწერტილოდ, გადაბმულად წავიკითხოთ. სულ ახალი შინაარსი იბადება: ***მთელი ისრაელის თვალწინ თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა***. აი ეს არის თორის სიბრძნე. თანამედროვე ენაზე ეს დეკონსტრუქციაა, ლინგვისტური თამაშია — საქმეც ამაშია.

დავუბრუნდეთ შემთხვევის და კანონზომიერების დამთხვევა-დაშორებებს, თამაშებს. ყოველი ამბავი და ხდომილება, როგორც ერთეული შემთხვევა, ამავე დროს ერთი კანონზომიერების გამოვლინებაა, რომელიც თავის თავს, სწორედ რომ *შემთხვევებზე(ით)* ***აგებს*** და პასუხსაც თავად ***აგებს***, ზოგჯერ სულაც ***აგებს*** (ზარალდება). თანამედროვე ენაზე ***კანონზომიერების ფაილებში შემთხვევები აწყვია***. უფრო სხარტად კი ასე: ***კანონზომიერება ემთხვევა შემთხვევას***. ანდა შემთხვევა.., თუმცა საკმარისია (უნდა მეთქვა, რომ შემთხვევა პირდაპირ ხახაში უვარდება *კანონს* და *ზომიერებას*). ჩვენი შემთხვევაც ასეთია: ***მე - რაბი; მე, როგორც რაბი; მე/რაბი; მე და რაბი; მერაბი; რაბი და მერაბი***. აი, რამდენი სათაურები დაგვიგროვდა შემდეგი წერილებისათვის.

მგონი, ჩვენი წერილის დასაწყისიც და დასასრულიც ერთმანეთში აირია. მაგრამ, როგორც იქნა, სწორედ იმ ადგილას მივედით, სადაც ორივეა, სადაც ისინი (დასაწყისი და დასასრული) ერთმანეთს ხვდებიან. მე პირადად მგონია, რასაც წაკითხვა ჰქვია, სულ ასეთ ადგილებს აჩენს და ***სამყაროც სწორედ წაკითხვაა***, ასეთი ადგილების ადგილია, ეს არცთუ ისე ადვილია. რა მაგის პასუხია და.., თუმცა აბზაცით უნდა დავიწყო, წერასაც თავისი თამაშის წესები აქვს. (ამასობაში არ დამავიწყდეს!).

რამდენი ხანია ებრაული მუზეუმის (დიახ, დავით ბააზოვის სახელობის) შრომების ბოლო (VI, VII) ტომებს დავეძებ. ვისაც ვკითხე - მაჩუქესო. ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს ითხოვებს კაცი, დააქსეროქსებს, მაგრამ... ზოგჯერ გვიან გვესტუმრება ხოლმე ჭეშმარიტება. მეც ასე დამემართა და როცა მესტუმრა, ავდექი და მთავარ რედაქტორს დავურეკე, იგივე, მუზეუმის დირექტორს და გაახარებს ღმერთი - რუსთაველის თეატრის პირდაპირ, ეზოში, წიგნების მაღაზიაში იყიდებაო. სიმართლე რომ სრული იყოს, ისიც მითხრა, ჩვენც მოვიძიებთო, იქნებ დაგვრჩაო. ძალიან კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ჯერ წიგნის მაღაზიის მონახულება ვამჯობინე. წიგნების მაღაზიაც ძალიან მომეწონა და ის ფაქტიც, რომ უთვალავ, ნაირგვარ, სამამულო და სხვათა შესანიშნავ წიგნებს შორის ებრაული შრომების კრებულსაც ვხედავ. დიახ, ვხედავ (და არა ვნახე). სწორედ აქ შევყოვნდი და რამდენიმე ადამიანი გამახსენდა (აწ განსვენებული), ვინც მოიხიბლებოდა ამ ფაქტით. სწორედ მათი თვალით ვხედავ, რასაც *ვხედავ* (და არა *ვნახე*). ერთი საინფორმაციო დეტალიც (რაკი რეკლამა გამომივიდა) - თითოეული ტომის ფასი 23 ლ. ვიყიდე თუ არა? მოდით, აქ შევწყვიტოთ ჩვენი *გადახვევები.* ჯერ რეპორტაჟიც არ დამიწყია და რა დროს რეკლამა იყო, ანდა ამდენი განსჯები. მაგრამ მეორე მხრივ, რა უნდა მეთქვა ისეთი? ჯერ არ დამიწყია და მგონი დავამთავრე, უფრო სწორად, ჩემი რეგლამენტი ამოიწურა სწორედ მაშინ, როცა გადავწყვიტე, რომ დამეწყო.

ფელინის „რვანახევარი“ გამახსენდა. ფილმი იმაზე გამოვიდა თუ როგორ ვერ იღებს ფილმს რეჟისორი. ეს წერილიც შეიძლება იმ თაროზე მოთავსდეს თუ როგორ *წერ და ვერ წერ წერილს.* ესეც თამაშია (და ისევ), საქმეც ამაშია.

P.S. ამასობაში „მალიარები“ ლოცვის დარბაზებს უვლიან, ისე, როგორც დავავალე. გავიგე, რომ ამ დღეებში *ის* კაცი ჩამოსულა, ვინც ლოცვის რემონტს აფინანსებს. ნეტა რა თქვა, როგორ მოეწონა ჩემი პროექტი, საინტერესოა...

ჩვენი საგანძურის თაობაზე

რუბრიკას უძღვება
ხელოვნებათმცოდნე
ლელა წიწუაშვილი

— ქალბატონო ლელა, კარგა ხანია ჩვენი რედაქცია ამ პროექტს ამზადებს, და აი ახალი წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ მის განხორციელებას. მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის და მინდა ჩვენი საუბარი დავიწყოთ ქართველ ებრაელთა დიდი განძთსაცავით — საქართველოს ებრაელთა მუზეუმით. რა მდგომარეობაშია დღეს ის საგანძური, რომელიც ამ მუზეუმის კუთვნილება გახლდათ და იმედს ვიტოვებთ კვლავ მას დაუბრუნდება?

ლელა წიწუაშვილი: საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში, ძველი სინაგოგის შენობაში 1933 წლიდან 1951 წლამდე ფუნქციონირებდა. 1951 წელს კი სტალინის მმართველობის პერიოდში დაიხურა, როგორც სიონიზმის კერა. 1953 წელს სინაგოგის შენობა, რომელშიც მდებარეობდა მუზეუმი, კონფისკაციას დაექვემდებარა, ხოლო მასში დაცული კოლექციები სხვადასხვა სახელმწიფო მუზეუმებში გადანაწილდა. დღეს ეს მუზეუმები საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია. კოლექციის ძირითადი ნაწილი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (მათ შორის სახვითი ხელოვნების მთელი კოლექცია და კობოშვილის ყველა ნამუშევარი) ნაწილი კი იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) ფონდებში ინახება.

— სად არის ლაილაშის ბიბლია?

— ცნობილი ლაილაშის და ბრეთის ბიბლიები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

1992 წელს ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ებრაული მუზეუმი აღდგენილი იქნა, მას დავით ბააზოვის სახელი მიენიჭა და ისევ ძველი სინაგოგის შენობაში განთავსდა. მაგრამ შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, იქ კოლექციების გამოფენა და შენახვა შეუძლებელია. მუზეუმი აგრძელებს ფუნქციონირებას როგორც სამეცნიერო დაწესებულება, ჰყავს თავის თანამშრომლები, მუზეუმის დირექტორი ბ-ნი გივი ღამბაშიძე წლების მანძილზე ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას და თანხების მოძიებას მუზეუმის შენობის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისათვის. სინაგოგის შენობის სავალალო მდგომარეობის გამო და მასში არარსებული სათანადო საგამოფენო და საფონდო სივრცეების მიზეზით, ებრაული მუზეუმის კოლექციები დღემდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებშია დაცული.

— თქვენ ამ მემკვიდრეობით დაინტერესდით, როგორც ხელოვნებათმცოდნე. გვიამბეთ, რა სამუშაო იქნა ჩატარებული თქვენს მიერ?

— ამ კოლექციით 1995 წლიდან დავინტერესდი და მას შემდეგ მისი შესწავლით ვარ დაკავებული, ეს არის ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემაც.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მისი ხელმძღვანელობის და პირადად გენერალური დირექტორის, პროფესორ დავით ლორთქიფანიძის ხელშეწყობით ებრაული მუზეუმის კოლექციები ჩემს მიერ ორგანიზებულ სამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.

2006 წელს თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა მისი დაბადებიდან 130 წლის იუბილეს მიეძღვნა და ეროვნული მუზეუმის სრული დაფინანსებით განხორციელდა.

2008 წელს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე „მარადიული ცეცხლი. ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა“ მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი ებრაული მუზეუმის ექსპონატები (შალომ კობოშვილისა და დავით გველესიანის ფერწერა და გრაფიკა, კოსტუმები, ქსოვილები, რელიგიური, რიტუალური თუ ყოფითი დანიშნულების ნივთები, ფოტოები. (ორივე იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში, ქარვასლაში იყო მოწყობილი).

2010 წელს თბილისში ჩატარდა იერუსალიმის ბენ-ცვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია — „ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა“. ამ კონფერენციასთან დაკავშირებით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში (სადაც თავად ვმუშაობ) რიგით მესამე გამოფენა გავხსენით.

ბოლო ორი გამოფენა ებრაული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ისრაელის საელჩოს, ისრაელი-საქართველოს ბიზნეს პალატას, „სოხნუთის“ საქართველოს წარმომადგენლობას.

სამივე გამოფენა რამოდენიმე თვე ფუნქციონირებდა და ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცა ეხილა აქამდე თითქმის უცნობი კოლექცია. გარდა ამისა, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ საგამოფენოდ ყველა ამ ექსპონატებს ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია, მოწესრიგდა, დამზადდა ახალი ჩარჩოები და პასპარტუები. დროთა განმავლობაში ყველა სამუზეუმო ექსპონატი ზიანდება, იშლება და მათ სათანადო მოვლა და მოწესრიგება ესაჭიროება. გამოფენა ამ მხრივ ექსპონატებისთვის ერთგვარი ახალი სიცოცხლის მინიჭების ტოლფასია. ახლო მომავალშიც, სათანადო ფინანსური მხარდაჭერის მოძიებით, დაგეგმილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ებრაული კოლექციის დანარჩენი ექსპონატების მოწესრიგება, რესტავრაცია-კონსერვაცია. გამოიცა სამივე გამოფენის სრული კატალოგი, რომელშიც წარმოდგენილია ექსპონატების ფერადი ილუსტრაციები და ცნობები მათ შესახებ.

ებრაული მუზეუმის შენობის პრობლემის მოგვარების შემდეგ კოლექცია თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მუდმივ ექსპოზიციაში. ამჟამად კი ექსპონატები სათანადოდაა დაცული, მე ვაგრძელებ კოლექციის შესწავლას და ატრიბუციას, კიდევ იგეგმება დროებითი გამოფენების მოწყობა.

— რახან მუზეუმის პრობლემის მოგვარებაზე ჩამოაგდეთ სიტყვა, გვინდა დავსძინოთ: „მენორას“ არაერთხელ უმსჯელია ამ საკითხზე, არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება მუზეუმის სავალალო მდგომარეობაზე. იქნებოდა ეს ზემოთ ნახსენები დირექტორი მუზეუმისა ბ-ნი გივი ღამბაშიძე თუ სხვანი მწვავედ სვამდნენ მუზეუმის გადარჩენის საკითხს. ისევ უნდა მივმართოთ მათ, ვისაც დანგრევის პირას მისული ბეით-ქნესეთის, ამჟამად კი მუზეუმის გადარჩენა ხელეწიფება: თუ ეს ისტორიული შენობა ჩვენს დროში, ჩვენივ უგულისყურობის გამო აგურ-აგურ დაიშალა, დამნაშავე ვიქნებით ყველანი, თითოეული ჩვენგანი, ყველაზე დიდი დამნაშავე კი ის იქნება, ვისაც შესწევს მისი აღდგენის ფინანსური ძალა და არაფერს აკეთებს.. მუზეუმიც სულიერების ისეთივე კერაა, როგორც სხვა ცენტრები.

ახლა კი რუბრიკის პრემიერა: გაზეთ „მენორას“ მკითხველს ვთავაზობთ ყოველ ნომერში გაეცნონ ჩვენი საგანძურის თითო ექსპონატის ილუსტრაციას მოკლე ინფორმაციით. როგორც ზემოთ ითქვა, რუბრიკას უძღვება ლელა წიწუაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენების კურატორი.

შალომ კობოშვილი „დედოფლის წაყვანა აბანოში“



შალომ კობოშვილი (1876-1941). „დედოფლის წაყვანა აბანოში“. 1939. ქაღალდი, აკვარელი. 31,5X41,5. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ებრაული საქორწინო სამზადისის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი იყო დედოფლის განბანვა მიკვეში (სარიტუალო აბანოში). ჰატარძალი მიჰყავდათ მიკვეში ტებილის რიტუალის განსახორციელებლად. მას აშუღები საზისა და ჭიანურის დაკვრით მიუძღოდნენ. აშუღებს მიჰყვებოდნენ ჰატარა ბიჭები საბანაო ჭურჭლითა და ბოხჩაში გამოკრული სანოვაგით, მათ კი — ჰატარძლის დობილებისა და ნათესავების ამალა. სურათზე ასახულია მე-XIX საუკუნის ბოლოს ახალციხელ ებრაელთა ყოფა.

ილია მოსიაშვილი–75

დიდი პატივისცემით მივესალმები ილია მოსიაშვილს, საიუბილეო თარიღს, მისი დაბადებიდან 75 წლისთავს. ყველას გვიხარია ილიკო, რომ ამ ხნის მოიყარა.

ჩემო ილიკო,

ალბათ, 4-5 წელია არ მინახიხარ. ბოლოს როცა შევხვდით, ძალის და საქმიანობის მოზვავებას ვეღარ ითმენდი. ამითაც ჩაეხუტე ჩვენს საქართველოს და თბილისს, სადაც დიდ ბიზნესს მოკიდე ხელი და თანაც ებრაელი კაცის სასახელოდ. ბაზალეთის ტბასთან — სასტუმროს, დიდი დასასვენებელი კომპლექსის შენებას შეეჭიდე და გაიმარჯვე კიდეც, რამაც ასე მგონია, ისრაელის ნოსტალგია ოდნავ შეგიმსუბუქა. ვიცი, ებრაელი კაცის ბოლო ნავსაყუდარი აქაა, მაგრამ ახლა ვშიშობ, საქართველოს და თბილისის ხიბლმა არ გადაგძლიოს.

ჩემო ილიკო, აფერუმ შენს ვაჟკაცობას და შემართებას. გისურვებ მრავალი საქმით ახარო თბილისი და თბილისელები, მე კი აქედან, ისრაელიდან არა მხოლოდ თვალს გადევნებ, საამაყოდაც მყავხარ მაშინაც, როცა ტელეეკრანებზე არც ჩანდი. შენს ბაზალეთის კომპლექსში, როცა სააკაშვილი ქართველ პედაგოგებს შეხვდა, შენ თითქოს თვალწინ მედექი და თითქოს მეუბნებოდი ,,ნახე, ბესოო"! სააკაშვილი ვახსენე და მეც მინდა ამ უჭკვიანეს კაცს გაუფრთხილდეთ, რომ ვინმემ არ ჩასჭიდოს ხელი და უმისოდ არ დარჩეს საქართველო. ვინც მუშაობს, მას ალბათ, ნაკლიც ექნება, „მოქნეული და მოზომილი არ არსებობს" ხოლო ვინც უქნარაა, იმას არც ნაკლი აქვს, არც თავი და არც ბოლო. ნახეთ, მთელი მსოფლიო — გაეროც, ევროკავშირიც, ნატოც — ყველა ქვეყანას მოუწოდებს: „ისწავლეთ საქართველოდან!", მაგრამ ამ სწავლასაც ნიჭი უნდა. მე მეშინია, რომ იგი ან ერთმა, ან მეორემ, არ „დააწინაუროს" და ებრაელთა ერთხელ ნათქვამი, ჩემი ენის ყივილად არ შეიცნონ.

მინდა შენსა და ჩემს საყვარელ თბილისს, მთელ საქართველოს ერთად მოვესიყვარულოთ. შენს საყვარელ ერთადერთ დას, ჩემს და ლედის, ჩემს უსაყვარლეს ისაკთან ერთად, მივულოცო და ასევე შენს საყვარელ შვილსაც, უპატიოსნეს მიშას და მის მარიკას, შენთვის ასეთი მნიშვნელობის საიუბილეო თარიღი, ასევე ლედისა და ისაკის შვილმომავლებს მივულოცო, შენი ასეთი თარიღი და დაგლოცავ ებრაულად: „ად მეა ვეესრიმ". „ას ოც წლამდე, ჩემო ილიკო!" მურმან ლებანიძემ დაწერა: „ეს მთები და ეს მდელო და... მე მივდივარ, აწ კი თქვენი ჯერიაო". თუმცა, მე ჯერ არსად არ ვაპირებ წასვლას. ველოდები: მაშიახის მობრძანებას იმ ტაძარში, რასაც მაშიახის მობრძანება ქვია. შენ გაამრავლე და გაამთლიანე, შენი ბაბუის — ბენციონ ილიას-ძის ნაანდერძევი და ვშუამდგომლობ უფლის წინაშე შენი ღირსეული მომავლისათვის.

შენი **ბესო მიხელაშვილი**

ისრაელი, ქ. ხოლონი

ბატონ ილია მოსიაშვილს მთელი გულით ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელ, ბედნიერ და წარმატებულ წელიწადს.

საუკეთესო სურვილებით,

იცხაკ გერბერგი

ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

დამხმარე

თბილისის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გამგეობა და ჯამაათის ყველა წევრი ბ-ნ ილია მოსიაშვილს ულოცავს დაბადების 75-ე წლის იუბილეს უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ფირუზ კოჩობაშვილი

ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაი

ბატონ ილია მოსიაშვილს

ფრიად ღირსშესანიშნავი ფაქტია და თავადაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს დაბადებიდან 75 ნელი მივულოცო ბატონ ილია მოსიაშვილს — დაუღალავ პიროვნებას, ბიზნესმენსა და მეცენატს.

უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება ამ სიტყვების დასტურად ანუ დასტურად იმისა, თუ რამდენ საჭირო და მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი (მარტო ბაზალეთის კომპლექსის დასახელება რად ღირს!) ბატონ ილია მოსიაშვილის თაოსნობით და იმის აღიარებად, თუ როგორი წარმატებით დაგვირგვინდა თითოეული მათგანი. თქვენი ვრცელი არქივიდან, ბატონო ილია, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რამდენიმეს კი აუცილებლად დავასახელებთ, განსაკუთრებით კი იმათ, რომლებმაც უშუალოდ ჩვენი თემის ცხოვრებაში, კერძოდ თბილისის ებრაული სათემო სახლის დაარსება-ფუნქციონირებაში, წარუშლელი კვალი დატოვა. არავის დაავიწყდება, რომ თქვენ საკუთარი თანხობრივი წილი გაქვთ შეტანილი ამ ნამდვილად მნიშვნელოვანი ებრაული კერის დაარსებაში და წლების მანძილზე ასევე დახმარების ხელს უწვდიდით პროგრამა „მაზალ-ტოვ"-ის მუშაობას.

ბატონო ილია, დიდი შემართება, ენერგია, აღმშენებლობითი საქმიანობით სავსე სიცოცხლის დაუოკებელი სურვილი და უნარი არ მოგიშალოთ ბუნების ძალამ. თქვენ წინ კიდევ ბევრი კეთილი და ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგებლო იდეის განხორციელება გელოდებათ, რასაც ნამდვილად გულწრფელად გისურვებთ თქვენს საყვარელ, შესანიშნავ ოჯახთან ერთად. კიდევ მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვენი სიკეთით სავსე, უანგარობით გამორჩეული ცხოვრება მისაბაძი მაგალითი ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

რევაზ შათაშვილი

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრ „ხესედ-ელიაჰუ"-ს დირექტორი

სად იღებს სათავეს სიკეთე?

გურამ ბათიაშვილი

80-იანი წლების დამდეგის ამბავს ვიგონებ: ჩვენი საერთო მეგობარი ვაჭრობის საკონტროლო სისტემაში მუშაობდა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა ძალიან გაურთულდა. ილიკოს სახლში სწორედ ამ საკითხზე ვმსჯელობდით, მეგობრის მძიმე დღეებს განვიცდიდით, თავს დატეხილ და სახვალიოდ მოსალოდნელ სირთულეთა შემსუბუქების საშუალებებს ვეძებდით. მერე იმდროინდელი ენგელსის, (ამჟამად კი ასათიანის) ქუჩაზე დავეშვით. საჭეს რეზო — ილიკოს ძმა — მართავდა, მის გვერდით ილიკო იჯდა, უკან — პატიმარი მეგობრის მეუღლე და მე.

— მძიმე მდგომარეობაა, ძალიან მძიმე — ვთქვი მე. ეს შინ დაწყებული საუბრის ერთგვარი გაგრძელება, თუ კომენტარი იყო.

— მძიმეა, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, ძალღონე არ უნდა დავიშუროთ, რომ ბიჭი არ დაიჩაგროს — ამბობს ილიკო.

„ყველაფერი უნდა გაკეთდეს, ძალღონე არ უნდა დავიშუროთ, რომ ბიჭი არ დაიჩაგროს" ამას ილიკო ძმის მეგობარზე ამბობს და ეს სიტყვები არა მხოლოდ მისვლა-მოსვლას, ამ კრიზისულ სიტუაციაში არა მხოლოდ გონივრული რჩევის მიცემას, გარჯას, არამედ დიდ ფინანსურ ძალისხმევასაც გულისხმობს. ფინანსური ძალისხმევა, იმისათვის, რომ ძმის მეგობარი არ დაიჩაგროს. ამიტომ, როცა ილიკოზე ვფიქრობ, მით უმეტეს ამ დღეებში, მისი ეს სიტყვები მაგონდება — ამ სიტყვებშია მოქცეული მისი პიროვნული არსი — იგი არა დღეს, არა გუშინ — სიჭაბუკის წლებიდან ასე ცხოვრობდა,— გასაჭირისას ადამიანის მიშველება, ადამიანის ჭირ-ვარამის გაზიარება მისი ცხოვრების თანამდევია.

დღეს ილიკო 75 წლისაა. არ მაგონდება 31 დეკემბერი, რომ მისთვის დაბადების დღე არ მიმელოცნოს, ხან ტელეფონით, როცა იგი მოსკოვში, ვენაში, თუ ისრაელში იყო, ან, პირადად— ჭიქით ხელში. წელს არ მიმილოცნია, არ დამირეკავს, რადგან 30 დეკემბერს ახლობლობაში ისეთი რამ მოხდა, ვიცოდი, ილიკოს დაბადების დღის განწყობა არ ექნებოდა — იგი ახლობელთა გასაჭირით იყო შეძრული.

სად იღებს სათავეს ასეთი სულისკვეთება, რა ზრდის ადამიანში თანაგრძნობის, თანალმობის გრძნობას. ჩვენს დალხენილ, თითქოსდა, ცივილიზებულ დროში ეს გრძნობა ხომ ერთობ გაგვიძვირდა, ძნელად საპოვნელი გაგვიხდა.

ამ საკითხზე სრული, გამოწვლილვითი საუბარი, ერთ პატარა, მისასალმებელ წერილში შეუძლებელია. ამიტომ შევეცდები მიახლოებით,ზოგადად მაინც წარმოვაჩინო ის, რაც უმთავრესად მიმაჩნია:

ოჯახი. ილიკოს მშობლების — მიხეილისა და სარას ოჯახი ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ სენაკში. სიტყვა ერთ-ერთი იმას აღნიშნავს, რომ ამათნაირი, ამ ოჯახისნაირი სხვებიც იყვნენ. ცხადია, იყვნენ, მაგრამ უნდა დავსძინო: ბევრი არა — ცოტა, ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი.

ბ-ნი მიხეილი, ანუ როგორც ჩვენ — მაშინდელი უწვერ-ულვაშო მოზარდები ვეძახდით — ბიძია მიხეილი, მძიმე ნაბიჯებით მოსიარულე, დაკვირვებული მზერის კაცი გახლდათ. მაშინ ამაზე არ ვფიქრობდით, ახლა ვაცნობიერებ: ისე შემოგხედავდა, თითქოს შენს სულში იმზირებოდა — სწავლობდა ვინ ხარ, რა სულიერი წყობის, საიდან მოდიხარ და საით გინდა იარო. ოქროპირი კაცი არ ეთქმოდა, ისე როგორც ყოველი დაკვირვებული, ანალიტიკური ბუნების კაცი, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ნელ-ნელა იხსნებოდა. მისი მეუღლე — სარა დეიდა — ე.ი. ილიკოს დედა, უფრო გახსნილი ქალი იყო — ღიმილიანი, მოალერსეც კი — ყოველ შემთხვევაში ასე იყო ჩვენს — მისი შვილების მეგობრების მიმართ.

ყველასგან გამორჩეული, იქნებ, განუმეორებელიც კი ილიკოს ბაბუა იყო — ბენციონ მოსიაშვილი, ანუ ბესიონა ბიძია.

ჩვენ, უწვერულვაშო ყმაწვილებიც კი ვგრძნობდით, რომ დიდი ბიოგრაფიის კაცი გახლდათ.

რა ადგილი ეჭირა ამ ადამიანს სენაკის ებრაელობაში? ახლა ათასნაირ სიტყვებს ხმარობენ: ლიდერიო, წინამძღოლიო, თავმჯდომარეო, მეთაურიო... და სხვა. ბესიონა ბიძია არც ერთი იყო, არც — მეორე, არც — სხვა. ის იყო ბენციონ მოსიაშვილი, კაცი, რომლის სიტყვასაც ყველა ყურს უგდებდა, ყველა უსმენდა. ეგ კი არა, ბეით ქნესეთში ლოცვისას რომ ჩაახველებდა, ყველა მისკენ მიტრიალდებოდა, რას გვანიშნებს, ამ ჩახველებით რისი თქმა სწადიაო. ხშირად იყო ასეთი შემთხვევა: „ფასუკები" იყიდებოდა, ან რაბი, ჯამაათი რაიმე საკითხს განიხილავდა, ბესიონა ბიძიას კი ჯერ ყამიდა არ გაესრულებინა, ან ლოცვის განყვეტა არ ეწადა და თუ ამ დროს რაიმე არ მოეწონებოდა, ან რაიმეს თქმა ეწადა, ლოცვის პროცესს კი არ შეწყვეტდა, გვესმოდა მისი ჩახველება, ან უსიტყვო შეძახილი „ჰმ", „ჰმ", ეს იმას ნიშნავდა, რომ გაბაი, თუ რაბი დაიცდიდა, დაელოდებოდა, ბესიონა რას იტყვისო.

ილიკო ბაბუას მაგონებს, მისებრ კრიტიკულია, ძნელად დასაყოლიებელი და გასაჭირისას შემწე. როცა საჭიროა, ეკლიანიც, რადგან მას თავისი სიმართლე აქვს, მისი სიმართლე კი ცხოვრებისეულ კრედოში ღებულობს სათავეს: იგი კრიტიკული იმიტომ არის, რომ ბაბუასავით იცის ადამიანების მოჩვენებითი საქციელის რაობა, ვერ გამოაპარებ სიყალბეს, გათამაშებულ სიბრძნეს... შემწე კი ... შემწე აღზრდით, ოჯახური ტრადიციებით გახლავთ. აკეთებს იმას, რასაც ბავშვობიდან ხედავდა, გრძნობდა...

II. რწმენა. ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი რელიგიური განათლება, არც ილიკო გამოირჩევა რელიგიური განათლებით. მისი მთავარი მოწოდება ქართველ ებრაელთა ტრადიციების დაცვა — შენახვა, შრომა — ქმნადობა და შემწეობაა. ასეთი იყო სიჭაბუკიდანვე,

ეს რელიგია მამაპაპურმა რწმენამ ჩაუნერგა, თითქოს კონსპექტივით გადმოიტანა მის სულში. კარგად მახსოვს: პარასკევ საღამოს ლოცვის გასრულების შემდეგ რაბი გამოაცხადებდა ხოლმე: სენაკში ჩამოსული გახლავთ ესა და ეს კაცი, აქ არ ჰყავს არც ნათესავი, არც — მეგობარი. ამ შაბათს მისი მასპინძელი ვინ იქნება? თუ ილიკოს მამა, ან ბაბუა, ლოცვაში იყვნენ, უმეტესწილად კი იყვნენ, არავინ იტყოდა, ჩამოსულს, უცხო კაცს, მე ვისტუმრებო, ყველა ილიკოს ბაბუას და მამას მიაცქერდებოდა, თუ ისინი არაფერს ამბობდნენ, რაც იშვიათად ხდებოდა, ჯამაათის რომელიმე წევრი ისტუმრებდა ჩამოსულს.

ვგონებ, წინაპრებზე სიტყვა გამიგრძელდა, ეს იმიტომ, რომ იშვიათია ადამიანმა დამოუკიდებლად, მათი გადამდები მაგალითის გარეშე შეჰქმნას თავისი თავი. ილიკო მოშიაშვილი მისმა ოჯახმა შეჰქმნა, მშობლებმა, ბაბუამ. ამიტომ შესძლო ამ კაცმა ამდენი — ფინანსურ ძალასა და მისი ხალხის სასიკეთოდ გამოყენებას ვგულისხმობ. ფინანსური წარმატება დიდი სიკეთეა, დიდი ძალაც, მაგრამ გამოცდის წინაშეც აყენებს ადამიანს. ფინანსურად ღონიერი კაცი როგორ, რაგვარად იყენებს იმას, რისი ღირსიც განგებამ გახადა ე.ი. თავის ეკონომიკურ ძლიერებას საით წარმართავს, რა მიმართულებას აძლევს.; უვიცნი საკუთარი თავის განსადიდებლად, სხვათა დასათრგუნად, გონიერნი, წინდახედულნი — სხვათა შესაწევად, გასამხნევებლად, მხარში ამოსადგომად. განა მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთში მხოლოდ ერთი ებრაელი ბანკირი — ედმუნდ როტშილდი იყო? სხვებიც იყვნენ, საკმაოდაც, მაგრამ როტშილდი ებრაული სახელმწიფოს ისტორიაში უკვდავყოფილია — მან შეისმინა რაბი შმუელ მოლივერის შეგონება და თავისი ფინანსური ძლიერება ებრაელი ხალხის ინტერესებს დაუმორჩილა. აი, ბანკირი ჰირში ასე არ მოიქცა — მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ცნობილი დრამატურგი თეოდორ ჰერცლი მიადგა კარზე და პოლიტიკური სიონიზმისათვის ფინანსები სთხოვა. ამიტომაა: როტშილდი ებრაული სახელმწიფოს ისტორიის სავარძელში ნებიერად მოკალათებულა, მისი დამსახურების გამო ამ სავარძლის გარშემო მისივე მშობლები, მეუღლეც კი ლაღად გრძნობენ თავს, აი, ჰირში კი კართან აყუდებულა, ისტორიის ფურცლებზე მისთვის სხვა ადგილი მოინახა. ისტორიის სავარძელში ვერასოდეს მოიკალათებს.

ილიკოს ის, თავში ნახსენები, წინადადება: „კი, ასეა, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, ძალღონე არ უნდა დავიშუროთ, რომ ბიჭი არ დაიჩაგროს“, მე დღესაც ყურში ჩამესმის, ხშირად ჩამესმის და ამიტომ ძლიერ არ მიკვირს, როცა მეუბნებიან: ილიკომ ბეით ქნესეთს ესა და ეს გაუკეთა, საფესახოდ ხელმოკლეთათვის ესა და ეს გაიღო. ის ასეთია, ასე აღზრდილა, ასე უცხოვრია. ბიზნესმენი სწორედ ამ თვისებამ აქცია ჯამაათის გვერდაუვლელ პიროვნებად.

სხვა რამ უფრო მიკვირს: ადრეული ყმაწვილობიდან მოუსვენარია. შრომა, ფიქრი მისი ყოველდღიურობაა. ალბათ, იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ მე არ მაგონდება, რომ ილიკო დასასვენებლად წასულიყოს სადმე, მას არასოდეს არ სცალია ამისთვის, საამისო დრო არასოდეს არა აქვს, 10-15 წლის წინათ მეგობრულ ლხინს მიეცემოდა ხოლმე, იყო ლაღი, სიკეთის მფრქვეველი, მომლხენი. დღეს, გასაგები მიზეზების გამო, ამასაც არიდებს თავს.

ხანდაზმულობის ასაკში კი საქართველოში ერთი პატარა წალკოტი შეჰქმნა. ამ წალკოტს ილიკოს ძეგლად მივიჩნევ. გავა დრო, საქართველოში ბევრი რამ შეიცვლება — შესაძლოა, ამ ქვეყანაში თითო-ოროლა ებრაელი დარჩეს, ეს ძეგლი კი, დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნება ებრაელი კაცის გარჯის ნიმუშად, იმის დასტურად, რომ ებრაელი კაცი ქართულ მიწაზე სიყვარულით ქმნიდა, ილიკოს არაერთგზის უთქვამს კიდეც: საქართველოში ამ ქვეყნის სიყვარულმა დამაბრუნაო. ასეც არის, თორემ ისეთი გამრჯე და მოუსვენარი კაცი, როგორიც ილიკო გახლავთ, ნებისმიერ ქვეყანაში მიაღწევდა ფინანსურ წარმატებას, ისე როგორც მის არაერთ მეგობარსა, თუ ნათესავს მიუღწევია.

და კიდევ ერთი: ილიკო საოცარი იუმორით დაჯილდოებული კაცია. მის მიერ ნაამბობი ესა თუ ის შემთხვევა, ეპიზოდი, გნებავთ, სენაკელთა ცხოვრების გახსენება, იმდენად ფერადოვანია, ხატოვანი, იმდენად მახვილგონივრული, რომ მსმენელს არასოდეს ტოვებს გულგრილს. არ დავმალავ: ამ ბოლო წლებში ძალზე დამაკლდა მისი ნაამბობის მოსმენა.

მახსოვს, ერთხელ საქართველოს მთავრობის სხდომაზე ერთობ კრიტიკული გამოსვლა ჰქონდა, ლაპარაკობდა იმაზე, ხელისუფლება როგორ უშლის ხელს ამ წალკოტის მშენებლობაში. თითქოს კრიტიკულ პათოსს ტონიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა, მან კი სულ სხვა ფორმა აირჩია: ისეთი იუმორით, იმდენად ხატოვნად უამბო მთავრობას, პრეზიდენტ შევარდნაძეს, ის, თუ როგორ უშლიან ხელს საქმის კეთებაში, ბ-ნი ედ. შევარდნაძე, რომელსაც მთავრობის სხდომა მიჰყავდა, ერთხანს თავს იკავებდა, დიდხანს ვერ შესძლო: გულიანად იცინოდა. ჩვენ — ტელემაყურებლები, ცხადია, თავს არ ვიკავებდით — ილიკოს უშუალობას, იუმორს შესაბამისად ვეგებებოდით.

იუმორი ცხადია, დიდი ნიჭია, მაგრამ ამ იუმორთან ერთად მის ნაამბობს ისეთი გულწრფელობა ახლდა, შეპასუხება იმათაც კი ვერ გაბედეს, ვისაც აკრიტიკებდა. მოერიდნენ, ეს ისეთ ტალღაზეა, პრეზიდენტის თვალწინ სულაც გაგვაშავებსო.

დღეს, ილიკო 75 წლისაა. შვილებით, შვილიშვილებითა თუ შვილთაშვილებით ისე სავსე, მომრავლებული, როგორც უნდა იყოს ყოველი მშრომელი, გამრჯე ადამიანი.

ახლა უნდა იჯდეს და ნება-ნება უნდა მიირთმევდეს „ცეკას ბიუროს“ (ასე ეძახდა ჩაციებული ხრაშუნა საზამთროს გულს), ის კი კვლავ შრომაშია — დილიდან საღამომდე.

ყოველთვის ასე იყო, დღესაც აქტუალურია საკითხი: რა ფუნქციას ასრულებს ადამიანი თავის გარემომცველ სამყაროში, ვინ არის იგი — მომხმარებელი თუ შემქმნელი, ქვეყანას მატებს თუ სულ თავისთვის იჭრის?

ამ ათიოდე წლის წინათ თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართულ გაზეთ „მენორას“ ათი წლისთავის საიუბილეო საღამოს ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ: ილიკო მოსიაშვილი ასრულებს იმ მისიას, რისთვისაც ადამიანი ევლინება ქვეყანას: იგი იბრძვის გარემომცველი სამყაროს გაუმჯობესებისათვის. იუდაიზმი ადამიანის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამას მიიჩნევს.

ქვეყანა მისნაირი ადამიანებით მიდის წინ.

კვლავაც მრავალ წელს,

ღეხაიმ, ილიკო!

„ფინანსების“ რეიტინგით...

რუსულმა გამოცემამ „ფინანსები“ 2011 წლის 500 უმდიდრეს რუს ბიზნესმენს შორის მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის გარდა, კიდევ 4 ქართველი ბიზნესმენი დაასახელა. დავით იაკობაშვილი, ვიაჩესლავ მირილაშვილი, დავით ფანიკაშვილი

და პაატა გამგონეიშვილი მულტიმილიონერები არიან. მათი ქონება მილიარდზე ნაკლებია, მაგრამ ასეულობით მილიონს ითვლის.

ამ ოთხეულში ყველაზე მდიდარი კვების ინდუსტრიის მაგნატი, 54 წლის დავით იაკობაშვილია. „ფინანსის“ რეიტინგში მას 134-ე ადგილი უკავია. იაკობაშვილი კომპანია „ვიმ-ბილ-დანის“ დამფუძნებელია, რომელიც საკვები პროდუქტების მწარმოებელ 36 საწარმოს და რამდენიმე სამარკო ნიშანს აერთიანებს. იაკობაშვილი ლუდის მწარმოებელი კომპანია „ცეპკოსა“ და „რუსაგროპროექტის“ დირექტორთა საბჭოებშიც შედის.

2007 წელს იაკობაშვილის ქონება 450 მილიონად იყო შეფასებული, 2011 წლის რეიტინგის მიხედვით კი ის 830 მლნ-ს ფლობს. ჰყავს მეუღლე და 3 წლის შვილი. მისი ოჯახი საფრანგეთში ცხოვრობს. რეიტინგში აღნიშნულია, რომ იაკობაშვილმა ბიზნესი პრაქტიკულად ნულიდან დაიწყო.

ბიზნესმენი თბილისში დაიბადა, განათლება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიიღო. 1982 წლიდან კი ბიზნესსაქმიანობა წამოიწყო. როგორც თავად ბიზნესმენი იხსენებს, თავიდან ღორებით ვაჭრობდა, მოგვიანებით სილამაზის სალონი გახსნა. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კი სათამაშო და ტურისტული ბიზნესიც მოსინჯა.

უმდიდრეს რუს ბიზნესმენებს შორის რეიტინგის 140-ე ადგილზე სახელდება სოციალური ქსელის „В Контакте“-ს თანამფლობელი, 26 წლის ვიაჩესლავ (იცხაკ. რედ) მირილაშვილი. მისი

ქონება „ფინანსმა“ 790 მლნ დოლარით შეაფასა, თუმცა, რეიტინგის ავტორები მიუთითებენ, რომ მისი კაპიტალის დაგროვებაში უმეტესი წილი მემკვიდრეობასა და ნათესაურ კავშირებს მიუძღვით. ვიაჩესლავი ცნობილი ბიზნესმენის, მიხეილ მირილაშვილის ვაჟია, რომელმაც მოსკოვში წარმოებული სათამაშო ბიზნესით დიდი კაპიტალი დააგროვა. ბიზნესის დასაწყებად საჭირო თანხაც ვიაჩესლავმა მამის კუთვნილი კომპანიისგან ისესხა.

ვიაჩესლავ მირილაშვილი მილიონერთა სიას წელს შეემატა. მას მოგება „В Контакте“-ში განხორციელებულმა წარმატებულმა ინვესტიციამ მოუტანა. „В Контакте“-ს აქციების გამოიყენეთ „ჯადოსნური ქისის“ ლურჯი მონეტები 30-ამდე. 26 წლის მილიონერი პროფესიით პროგრამისტია. განათლება მან აშშ-ში, ტაფტსის უნივერსიტეტში მიიღო. დღეისათვის „В Контакте“-ს ყოველდღიურ მომხმარებელთა რიცხვი 23 მლნ-ს აჭარბებს.

„ფინანსის“ რეიტინგში 570 მლნ დოლარით მოხვდა ფარმადისტრიბუტორი კომპანიის, „როსტას“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი დავით ფანიკაშვილი. „ფინანსმა“ მას 192-ე ადგილი მიენიჭა. „როსტა“ „ფორბსის“ მონაცემებით, რუსეთის 200 უმსხვილესი კომპანიებს შორის მე-18 ადგილზეა. ფანიკაშვილის შესახებ კი ცნობილია, რომ მან ბიზნესი ნულიდან დაიწყო.

ამ დროისთვის „როსტა“ 44 ქვეყნიდან ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქციის დისტრიბუციას. აერთიანებს 28 ფილიალსა და 15 წარმომადგენლობას ამ ქვეყნებში.

კვლავ წინ და მაღლა!

დაარსებიდან მხოლოდ რამდენიმე თვეს ითვლის იუმორის ეროვნული აკადემია, რომელიც დიდი კომიკოსის - იპოლიტე ხვიჩიას სახელს ატარებს, მაგრამ უკვე ბევრი საინტერესო წამოწყების თაოსანია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საგამომცემლო საქმიანობა. ახლახან გამოვიდა ამ აკადემიის დამფუძნებლისა და თავკაცის, რეგიონული ტელევიზიის ცნობილი წამყვანისა და მეცნიერის — ბენია თხილავას წიგნი „მონატრებული ხმა გასული საუკუნიდან“. იგი ეძღვნება საქართველოს დამსახურებული არტისტის ა. ჩიქვინიძის მოღვაწეობის რამდენიმე ნაკლებად ცნობილ მომენტს, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის წლებში შექმნილ „მინიატურების ანსამბლს“, რომელსაც იპოლიტე ხვიჩიასთან ერთად ხელმძღვანელობდა.

„ებრაელების უბანში გავიზარდე... ო, რა იუმორი დაიკარგა ქუთაისიდან მათი წასვლით?! გული ძალზე მწყდება, ძალზე!“ - წერს ამ აკადემიის ეგიდით გამოცემული კიდევ ერთი ახალი წიგნის - „სიცილის კარდიოგრამის“ ავტორი — ვაჟა ჭყონია.

სხვათა შორის, ბატონი ვაჟას ეს წიგნი, რომელიც თაროზე კარგა ხანს იყო შემოდებული, დააფინანსა მისი უფროსი მეგობრის, მასავით ქუთაისის კოლორიტისა და იუმორით გაძეძგილი კაცის, ექიმ რეზო ძიძიგურის შვილმა თემურ ძიძიგურმა, რომელიც მამასავით ცნობილი ექიმი, ამასთან აღიარებული მხატვარი, ფოტოხელოვანი, მოგზაური და სამი წიგნის ავტორია. მათ შორის მესამე - „ქუთაისელ ებრაელთა ოხუნჯობანი“ - იუმორის აკადემიის ეგიდით 2011 წლის ბოლოს გამოვიდა.

კრებულის რედაქტორია მწერალი გონერ ჭეიშვილი, კონსულტანტი - მეცნიერი და ცნობილი ჟურნალისტი ვიოლეტა ბუზიაშვილი.

წიგნი ილუსტრირებულია ავტორის ფოტოებით და მხატვარ გივი თოდაძის კარიკატურებით. სხვათა შორის ბატონ გივის, რომელიც ქუთაისის საპატიო მოქალაქეა, ახლახანს მიენიჭა ძალზე საამაყო ტიტული - „არქიტექტურის რაინდი“.

ეცნობი ქუთაისელ ებრაელთა ოხუნჯობებს და თვალწინ ცოცხლდებიან რიონისპირა ქალაქში ძმებივით შეზრდილი ქართველები და ებრაელები — მათი სიხარული და საწუხარი.

აი, ქუთაისელებისათვის არცთუ უცნობი სვიმონ ჟვიტიაშვილი.

ისრაელში წასვლამდე მას მწვანე ბაზრის წინ პატარა ჯიხური ედგა და ისე გემრიელ წყალს ასხამდა, რომ თანაქალაქელებმა სიმონ ტკბილი შეარქვეს.



„ — წყალს სიროფი დაუმატე, უფრო დატკბებაო! - ერთმა წაინტრიგანომ მაინც მოუძებნა მიზეზი.

— უფრო რომ დავატკბო, ოჯახი გამიმწარდებაო. — უპასუხა სიმონ ტკბილმა.“

აგერ კიდევ ერთი ანეკდოტი მასზე.

სიმონმა ციხეში მეზობელი მოინახულა. პატიმარი უგუნებოდ იყო.

— კარგ გუნებაზე რაფრა ვიქნები, სიმონ ბიძია, ციხეში ვზივარ, სანატორიუმში ხომ არ ვისვენებო. — უპასუხა, როცა სიმონმა ჰკითხა, სახე რატომ ჩამოგტირისო.

— ციხეში ვზივარო, ეს რა თქვი, ბიჭო?.. შენ რავა ფიქრობ, ჩვენ რო გარეთ ვართ, ჩვენ სადა ვართ? სუ ყველა ციხეში ვართ, ჩემო ბიძია, მარა სხვადასხვა ზონაში! - „ანუგეშა“ სიმონმა.“

გაგაცნობთ კიდევ ერთ ანეკდოტს და მასთან დაკავშირებულ წიაღსვლას.

80-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში ტელევიზიის დღეები გაიმართა, რომელშიც სხვასთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა დასკვნითი საღამო, რომელიც ლადო მესხიშვილის თეატრში შედგა და საქართველოს ტელევიზიის იმდროინდელ თავკაცს, ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს მრავალ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა, მათ შორის იმაზეც, თუ ვისი ეშინოდა.

— ერთადერთი ვისიც მეშინია, ჩვენი საერთაშორისო მიმომხილველი აბონ ციციაშვილია. არ გაგიკვირდეთ. მაგისი მე კი არა, რეიგანსაც ეშინიაო.

და აი, კაცმა, რომლისაც მხოლოდ ნუგზარ ფოფხაძეს კი არა, როლანდ რეიგანსაც „ეშინოდა“, რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში საჯარო ლექცია წაიკითხა „სისხლისმწოველ კაპიტალისტთა“ მიერ შექმნილ ნეიტრონულ ბომბზე:

— ამ ბომბის ჩამოგდების შემდეგ ცოცხალი ორგანიზმები ისპობა, მაგრამ მატერიალური ქონება არ ნადგურდებაო. - აღნიშნა.

ეს რომ მოისმინა, ქუთაისელი ებრაელი — ნანიკაშვილი ეკითხება:

— ჩვენთან რო ბომბია ჩამოვარდნილი, ი ბომბს რა ჰქვია. ცოცხლები ვართ, მაგრამ ჩვენს ირგვლივ არაფერი იშოვებაო...

* * *

ხელი გამირბის, რომ ამ საინტერესო წიგნიდან მოვიტანო სხვა ამონარიდებიც, მაგრამ თავს ვიკავებ, რადგან სიყვარულით გამთბარ კრებულში მსგავსი სიუჟეტი უამრავია, თუმცა ერთი რამ ხაზგასმით რომ არ ვთქვა, ამის უფლებას თავს ვერ მივცემ.

ქუთაისში, საგამოფენო დარბაზში „ვარლა“ ამ დღეებში ფერთა ნამდვილი ზეიმია და სახვითი ხელოვნების მოყვარულები სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან აკვარელში შესრულებულ იმ ოთხ ნაწარმოებს, რომელთა ავტორი თემურ ძიძიგურია.

სულ წინ და მაღლა, ჩვენო თემურ, სულ წინ და მაღლა, შენი მრავალმხრივი და უაღრესად საინტერესო შემოქმედებით!

ალექსანდრე შენგელია
ქ. ქუთაისი

„მამაჩემისა და სტალინის ქალიშვილის შესახებ“

7 დეკემბერს ნათან ბაზოვმა, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის, ებრაული მემკვიდრეობის საერთაშორისო ბაზოვ-ფონდის ორგანიზებით, ებრაულ სახლში ჩაატარა საღამო — „მამაჩემისა და სტალინის ქალიშვილის შესახებ“. ალექსეი კაპლერი სვეტლანა ალილუევას სატრფო იყო და სტალინის მიერ რეპრესირებულ იქნა.

ნათან ბაზოვი: ალექსეი კაპლერი და გერცელ ბაზოვი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ. ხშირად იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში. ცხოვრება რთული იყო და რეპრესიები ორივეს თან სდევდა.

ორივე 1904 წელს დაიბადა, მაგრამ 1938 წელს გერცელი ცოცხალი აღარ იყო, მისმა მეგობარმა კი 1979 წლამდე იცოცხლა.

1934 წელს სტალინისა და გორკის ინიციატივით მოსკოვში ერთად გადაიღეს სურათი. მათ გარშემო ყოველთვის იყვნენ რუსი, ებრაელი და ქართველი მწერლები.

წლები მიდიოდა. ერთხელ გერცელ ბაზოვის ბინის კედელზე გამოჩნდა ალექსეი კაპლერის ხელით შესრულებული ნახატი — „გერცელ ბაზოვი პროფილში“. რეპრესიებისა და ჩხრეკის მიუხედავად, შედევრი შენახულ იქნა და დიდხანს ეკიდა კედელზე... კანტოვკაში, შუშის ქვეშ და ჩარჩოში: 45X30 სმ. წარწერით „გერცელ დავიდის ძე ბაზოვს — სამახსოვროდ“.

ბოლო წლებში გამოფენებსა და ღონისძიებებზე ებრაულ სახლში ბევრი ათვალიერებდა უნიკალურ პორტრეტს და გაოცებულები რჩებოდნენ: „ეს როგორ? თავად კაპლერმა? თავად გერცელი?“

საქართველოს ებრაელთა ახალგაზრდული მსოფლიო კონგრესი

მოსკოვში გაიმართა ახალი სტრუქტურის პრეზენტაცია. შეიქმნა საქართველოს ებრაელთა ახალგაზრდული მსოფლიო კონგრესი.

ახლგაზრდული კონგრესის პრეზიდენტად აირჩიეს სტუდენტ — ისაკ ბენელი (ელაშვილი). ისაკ ბენელი (ელაშვილი) იმ ქართველ ებრაელთა ახალი თაობის წარმომადგენელია, რომელიც საინტერესო საქმიანობით იმკვიდრებს თავს ებრაულ სამყაროში.

საქართველოს ებრაელთა ახალგაზრდული მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს მოსასალმებელი წერილით მიმართა სემკ-ის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა.

გზა დავულოცოთ ახალგაზრდულ კონგრესს — ვინძლო, სასახელო საქმეებით გაგვახარონ!

დერეხ შალომ!

ვაერა

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
მთავარი რაბინის მ.შ.
აბიმელეხ როზენბლატი

ფარაშა „ვაერა“ ძირითადად მოშესა და ფარაონის ურთიერთობებსა და ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანის მცნებაზე მოგვითხრობს. მაგრამ, არის ერთი კითხვა, რომელიც ისმის ასეთი ფასუქების წაკითხვის შემდეგ: „შენ ეტყვი (ფარაონს) ყველაფერ იმას, რასაც მე გამცნებ შენ . . . მე კი გავამაგრებ ფარაონის გულს, და გავამრავლებ სასწაულებს ჩემსას და ნიშნებს ეგვიპტის მიწაზე, მაგრამ არ მოისმენს ფარაონი. . . “. რისთვისაა ყველა ნიშანი, რატომაა საჭირო მოშესათვის ბრძანება, ერთი შეხედვით, აქ ხომ ნათქვამია ის, რომ გამ-ნი ფარაონს არჩევანის თავისუფლებას ართმევს, და თუ ასეა, მაშინ თავიდანვე ჩანს, რომ არაფერი უშველის. და რომელ ნიშანს აკეთებს მოშე ფარაონის წინაშე? ის ძირს აგდებს თავის ჯოხს, და ის უხსენებლად გადაიქცევა. რა უნდა გვასწავლოს ამ სასწაულმა ჩვენ? თორის წინა თავში უკვე იყო შემთხვევა, როდესაც ჯოხი უხსენებლად გადაიქცევა. როდესაც გამ-ნი მოშეს ეკითხება: „რა გაქვს ხელში?“ მოშე პასუხობს – ჯოხი. გამ-ნი ეუბნება - დააგდე ის ძირს. ამის შემდეგ ჯოხი უხსენებლად იქცევა, გამ-ნის ბრძანებით მოშე მას კუდით იჭერს ხელში და უხსენებელი ისევ ჯოხად იქცევა. ეს უნდა იყოს ებრაელი ხალხისათვის იმის ნიშანი, რომ გამ-ნი მოშეს ესაუბრა. ანუ, ჩვენ მსგავს სიტუაციას სამჯერ ვხვდებით: პირველად – ეს არის ნიშანი მოშესთვის, მეორედ – ხალხისათვის და მესამედ – ფარაონისთვის. რა არის საერთო ამ შემთხვევებს შორის? რას წარმოადგენდა მოშეს ჯოხი? ნათქვამია „პირკეი ავოთში“, რომ ათი რამ შეიქმნა „ბეინ აშმაშოთში“ (შებინდებისას) – და ეს ჯოხი ერთ-ერთი მათგანია. ბეინ აშმაშოთ ეს უკვე არაა სამუშაო დღე, მაგრამ ჯერ კიდევ შაბათი არაა. (ადამი შეიქმნა პარასკევს და ცოტა ხანში შაბათი დადგა). ჯოხი არის ის ნივთი, რომელიც გამოყოფილია სიწმინდეში, შაბათის მსგავსად, მაგრამ მეორე მხრივ, მას შეუძლია შეიცვალოს ბუნება, მართოს ის. და, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა სასწაულს მოშე ამ ჯოხით იქმს. ამ ჯოხზე ეწერა (ეგვიპტელთა) ათივე ცემულობის სახელწოდებები. მიდრაში გვეუბნება, რომ ეს ჯოხი ჯერ ადამს ჰქონდა განიყედენში, შემდეგ ხანოხს, შემს. შემმა გადასცა ავრაჰამს, ავრაჰამმა – იცხაკს, იცხაკმა – იაყაკოვს. იაკობისაგან გადავიდა იოსეფთან ეგვიპტეში. იოსეფის სიკვდილის შემდეგ ჯოხი გადავიდა ფარაონთან. ითრომ (მოშეს სიმამრმა) დაინახა ის, ძალიან მოისურვა, აიღო და წაიღო მიდიანში. მას ვერავინ ვერ უახლოვდებოდა, მოვიდა მოშე, წაიკითხა წარწერა და აიღო. თქვა ითრომ – ეს განსაკუთრებული ადამიანია, რომელიც გამოიყვანს ებრაელებს ეგვიპტიდან, და მიათხოვა მას ცოფორა. მოშე ამ ჯოხით საქონელს მწყემსავდა 40 წლის მანძილზე, მანამ, სანამ გამ-ნი არ გამოეცხადა მას აალებული ბუჩქიდან. და ვინაა უხსენებელი? აი რატომ გადაიქცევა ჯოხი სწორედ უხსენებლად და არა, ვთქვათ, მაიმუნად ან ძაღლად? მიშნა ბრახოთ გვეუბნება, რომ ხასიდები არ წყვეტდნენ ლოცვას, როდესაც მეფის მისალმება იყო საჭირო, და მაშინაც კი, როდესაც უხსენებელი შემოეხვეოდათ ქუსლზე. რატომ აყენებს ერთმანეთის გვერდით მიშნა მეფეს და უხსენებელს? იმიტომ, რომ ეს ორი ანალოგიური რამაა. ისე, როგორც უხსენებელი იკლაკნება, ეგვიპტის მეფეც, ფარაონიც ამრუდებს თავის გზებს – გვეუბნება მიდრაში. მიტომაც იყო საჭირო, რომ ჯოხი უხსენებლად გადაქცეულიყო. ნუ, უხსენებელი და ჯოხი – ეს ორი ერთმანეთის საპირისპირო რამაა. ჯოხის ფუნქციაა სამყაროში გამ-ნის ნების განხორციელება, და ყველა, ვისაც ის ეკავა, გამ-ნის წარგზავნილი იყო. ამიტომ, ადამის შეცოდების შემდეგ, ჯოხი გადაეცა შემდგომ სხვებს, მაგრამ, ნოახმა შესცოდა და ჯოხი ავრაჰამს და მის შთამომავალთ გადაეცა. მათი ეჭვები არ იწვევდა გამჩ-ნისადმი მსახურების გზების გამრუდებას. შემდეგ ჯოხი ფარაონთან მოხვდა. ფარაონიც „ჯოხია“, მას ხომ გამ-ჩენის დავალება აქვს – ებრაელთა დამონება. მაშ, რატომღა ეძლევა მას ყველა ცემულობა? იმიტომ, რომ ის უხსენებლად გადაიქცა. გამ-ნმა უთხრა, რომ ებრაელები იქნებიან მონები ეგვიპტეში და მეტი არაფერი. ფარაონმა კი ამაზე გაცილებით მეტად „მოინდომა“ თავის სისასტიკეში. და პირველ ხუთ ცემულობაში წერია, რომ მან თავად გაიმკაცრა გული. ამის შემდეგ დაინახა გამ-ნმა, რომ ფარაონი უკვე აღარაა ჯოხი, მან გაამრუდა თავისი დანიშნულება, და ამიტომ, უკვე წერია, რომ გამ-ნმა გაუმკაცრა გული ფარაონს. ნუთუ დავუბრუნდებით პირველ კითხვას, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გამ-ნმა თავდაპირველად კი არ გაუმკაცრა გული ფარაონს, არამედ დასაჯა ის ამის შემდეგ, ჩამოართვა რა მას არჩევანის თავისუფლება. და რატომ გადაიქცა მოშეს ჯოხი უხსენებლად? ეს მოხდა მაშინ, როდესაც მოშე უარს ამბობდა თავისი დანიშნულების შესრულებაზე, ეგვიპტეში წასვლაზე, ამბობდა რა, რომ ებრაელები არ დაუჯერებენ მას. და ასევე, როდესაც ჯოხი ფარაონის თვალწინ გადაიქცევა უხსენებლად, ნიშნავს იმას, რომ მოშე ეუბნება ფარაონს, რომ ის უნდა იყოს ახლა ჯოხი, ანუ, მოვიდა დრო გაუშვას ებრაელები იმის მაგივრად, რომ ყველანაირი ხერხებით გზიდან გადაუხვიოს. და რას ვხედავთ ჩვენ? ფარაონი დროდადრო იცვლის თავის აზრს. აძლევს წასვლის ნებას და თავადვე გადათქვამს. რას გვასწავლის ეს? რომ ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი დანიშნულება. და თავისი დანიშნულების ყველა ცვლილება, ფაქტიურად, ჯოხის უხსენებლად გადაქცევაა.

ისრაელის ამბები

დავით მეფის მუზეუმი

დავით მეფის მუზეუმი მიძღვნილია ადრეული ებრაული ხანის ერთ-ერთ ყველაზე დიდი მეფის ცხოვრებისა და მმართველობისადმი. მთავარი მიზანი კი იმ პერიოდის, დავითის მმართველობის და მისი ისტორიული მნიშვნელობის დღევანდელი საზოგადოებისათვის ღრმად გაცნობაა. იგი გაიხსნა თელ-ავივში, ბრენერის 5-ში.

„Израиль7“ ინფორმაციით, მუზეუმი დაარსა სუზან რუთმა, რომელიც აშშ-ში წარმატებული ბიზნესლედია, არის ლიდერი ორგანიზაციებისა „სიმამაცე და ქალი“ და „დავიდოვის სახლის მმართველობა“. ერთხელ რუთმა აღმოაჩინა, რომ იგი — არც მეტი არც ნაკლები — დავით მეფის შთამომავალია რაშის, ლურიას ოჯახის, ბაალ შემტოვის და რაბი ნახმანის შვილიშვილის მხრიდან. სწორედ ამან უბიძგა ქალბატონს თავისი უდიდესი წინაპრის მუზეუმის შექმნისკენ.

მუზეუმის მდიდარი ექსპოზიცია წარმოადგენს დავითის მეფობის პერიოდის უნიკალური არქეოლოგიური და ისტორიული არტეფაქტებისგან შემდგარ დიდ კოლექციას, რომელიც დაკავშირებული იყო მისი ცხოვრების ყველა მხარესთან — მშვიდობასთან და ომთან, სამუშაო დღეებთან და დღესასწაულებთან.

ამასთან ერთად, მუზეუმი თავის მხრივ წარმოადგენს სასწავლო-კვლევით ცენტრს: დამთვალიერებლებისთვის რეკომენდირებულია ტესტირების გავლა კომპიუტერული ბაზის დახმარებით — ხომ არ არის რომელიმე მათგანი დავით მეფის შთამომავალი?

მუზეუმის ბაზაზე გახსნილია სუვენირების მაღაზია, რომელშიც მოსურნეებს შეუძლიათ შეიძინონ წიგნები, იმ პერიოდის ტანსაცმლის ნიმუშები, ძველებური მონეტები, ლამპები და, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლო ზომებისა და ფორმების დავითის ქანდაკებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმში შესვლა უფასოა, დამთვალიერებელს კი საშუალება ეძლევა შესწიროს დაწესებულებას იმდენი რამდენიც საჭიროდ მიაჩნია მისი შენახვისთვის.

ირანი ისრაელის უმაღლესი ხელმძღვანელობის განადგურებას აპირებს

ბირთვული ფიზიკოსის მუსტაფა აჰმად-რუშანის განადგურების საპასუხოდ ირანის სპეცსამსახურები ისრაელის მაღალჩინოსანი ლიდერის განადგურებას გეგმავენ. ამას ამტკიცებს ხელისუფლების გაზეთის — „Kayhan“-ის სარედაქციო სტატია, წერს „Курсор“.

პუბლიკაცია ამტკიცებს, რომ პროფესორ რუშანის მკვლელობა განიხილება, როგორც „ნაციონალური დამცირება“, რისთვისაც „საჭიროა ყველაზე სასტიკი გზით მოხდეს დანაშაულებრივი სიონისტური რეჟიმის დასჯა“.

მათ შორის, რომელთა განადგურებასაც ირანელები აპირებენ, ცნობილი მეცნიერებიც არიან. გარდა ამისა, აღინიშნება, რომ ირანის რეაქცია ბირთვული ფიზიკოსის მკვლელობასთან დაკავშირებით არ შემოიფარგლება მხოლოდ ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიით, თეირანის შურისძიება მისწვდება მკვლელობაში დამნაშავე ყველა პიროვნებას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი.

მანამდე, ირანმა ისრაელი დაადანაშაულა აფეთქების ორგანიზებაში, რომლის მსხვერპლიც თეირანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი — მუსტაფა აჰმად-რუშანი გახდა. თეირანის გუბერნატორის მოადგილემ განაცხადა, რომ ისრაელი ასეთი გზით „ცდილობს ჩაშალოს მარტში დაგეგმილი ირანის საპარლამენტო არჩევნები“. სამსახურში მიმავალი მეცნიერი გზაში აფეთქდა. მოტოციკლეტისტმა ბომბი ავტომანქანის კარებს მიამაგრა და მაშინვე მიიმალა.

აფეთქების შედეგად დაიღუპა მეცნიერი და კიდევ ორი ადამიანი. უნივერსიტეტში აჰმად-რუშანი სპეციალიზირებული იყო ნავთობქიმიაში და ნავთობის გადამუშავებაში, თუმცა პარალელურად საკვანძო ფიგურა იყო ნეთანზში — ატომურ სადგურზე ურანის გამდიდრების საკითხში.

ბოლო წლებში რამდენიმე ირანელი მეცნიერი ანალოგიურ სიტუაციაში დაიღუპა. მათი ნაწილი დაკავშირებული იყო ისლამური რესპუბლიკის ბირთვულ პროგრამასთან. დაახლოებით ორი წლის წინათ, 2010 წლის 12 იანვარს, მოკლულ იქნა კიდევ ერთი ბირთვული ფიზიკოსი მასუდ ალი მოჰამადი.

ნაპოვნია ესეს-ის პროტოკოლი

ევროპული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს საიდუმლო შეხვედრის პროტოკოლი, რომელზეც ესეს-ის მაღალჩინოსანი ოფიცრები და მესამე რეიხის ხელმძღვანელები განიხილავდნენ ებრაელი ხალხის გენოციდის საკითხს.

დოკუმენტის ერთადერთი გადარჩენილი ასლი, 1942 წლის 20 იანვრითაა დათარიღებული და შემთხვევით იქნა ნაპოვნი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში იტყობინება „tsn.ua co.“

„ტექსტის 15 გვერდზე დღეს ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ შოა (მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფა რედ.) ნამდვილად არსებობდა“, — წერს გამოცემა. გაზეთი ასახელებს დოკუმენტს, რომელიც „აშკარად ეწინააღმდეგება იმ ისტერიულ რევიზიონისტებს, რომლებიც ურცხვად ამტკიცებდნენ, თითქმის ჰოლოკოსტი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულებმა გამოიგონეს“.

საიდუმლო კრების შემდეგ, 1942 წელს, გაკეთებულ იქნა პროტოკოლის 30 ასლი, რომლებიც გადასცეს ესეს-ის ოფიცერს — ადოლფ ეიხმანს, რომელიც ებრაელების განადგურების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ასრულებდა.

წარმოდგენილ დოკუმენტში არის ეიხმანის ახლო თანამშრომლის — რეინხარდ ჰეიდრიხის მიერ გაკეთებული შენიშვნები — რომლებშიც ნათქვამია, რომ საუბარია „ებრაელების პრობლემის საბოლოოდ მოგვარების შესახებ“.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ომი გერმანიის დამარცხებით დასრულდებოდა, პროტოკოლის ასლების მფლობელმა ყველა პირმა დოკუმენტები გაანადგურა. მაგრამ შენარჩუნდა ერთი ასლი — ნომერი 16.

სავარაუდოა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკმა, რომელსაც უხეშად და კორუმპირებულად მიიჩნევდნენ, მარტინ ლუთერმა, შეძლო ასლის შენახვა, თავისი მინისტრის რიბენტროპის კომპრომიტირების მიზნით. ლუთერის გეგმები გამოაშკარავდა და იგი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. მაგრამ ასლი არავინ გაანადგურა, იგი კვლავ დარჩა სამინისტროს მიწისქვეშა არქივებში.

ხანუქა საქართველოში

თბილისი

27 დეკემბერი ხანუქის დღესასწაულის ბოლო დღე იყო. თავისუფალ თეატრში ამ დღესთან დაკავშირებით გაიმართა საღამო. ამ დღეს „ჯოინთის“ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ელენე ბერკოვიჩმა თავისუფალ თეატრში ხანუქის დღესასწაული გამართა. სანთლები აანთეს და შეკრებილთ ხანუქა მიულოცეს ქოენმა რაფაელ მესენგისერმა, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა — ავიმელეხ როზენბლატმა, „ხაბადის“ წარმომადგენელმა მეირ კაზლოვსკიმ, რაბინმა არიელ ლევინმა და ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ იოსებ ზისელმა.

საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი: ბოლო დღე დარჩა, რომ ერთმანეთს ხანუქა მივულოცოთ, გამომსვლელებმა ბევრი ისაუბრეს მე გეტყვით მხოლოდ ერთს — გისურვებთ სასწაულებს!

იოსებ ზისელი: ევრაზიული კონგრესის სახელით ვულოცავ საქართველოს ებრაელობას ამ დღესასწაულს. ყოველი ჩვენგანისათვის ეს სხვადასხვა რაღაცას ნიშნავს. ეს არის ის, რაზეც ისაუბრეს რაბებმა. ამავე დროს, ეს არ არის მხოლოდ ომი სინათლესა და სიბნელეს შორის. ეს ყველაფერი ჩვენს სულიერებაში ვლინდება. ებრაელებისთვის ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ამისთვის ისინი სიცოცხლესაც წირავდნენ. ებრაელებისთვის სულიერება მატერიალურზე ძვირფასი იყო. კიდევ ერთხელ გილოცავთ. ყველაფერს კარგს გისურვებთ ცხოვრებაში.

დარჩენილი სამი სანთელი აანთეს ებრაულ სახლთან არსებული თეატრალური სტუდიის წარმომადგენელმა ბავშვებმა.

საღამო დაასრულა სპექტაკლმა, რომელიც ხანუქის დღესასწაულს ეხებოდა და გაცოცხლებული იყო მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბავი.

ქუთაისი

ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში, როცა ბერძნებს სურდათ ებრაელები თავიანთ სარწმუნოებაზე მოექციათ, მათ თავი სოლომონის ტაძარს შეაფარეს. ბერძნები წმინდა ტაძარში შევიდნენ, შებილწეს ზეთი, შემდეგ როცა ხასმონაელებმა გაიმარჯვეს, ეძებდნენ ზეთს მენორის სანთლის ასანთებად. ზეთი მხოლოდ ერთი დღის სამყოფი იპოვეს, არადა სანთელი რვა დღის განმავლობაში უნდა აენთოთ და მოხდა სასწაული... ზეთი რვა დღის, ანუ ხანუქის მთელი დღესასწაულის განმავლობაში ეყოთ! მას შემდეგ იუდაველები ყოველ წელს, დეკემბერში, ებრაულად ქისლევის თვეში აღნიშნავენ ხანუქის — სინათლისა და ტაძრის კურთხევის დღესასწაულს.

წლეულს, ქუთათურმა ებრაულმა თემმა ეს დღესასწაული 25 დეკემბერს სასტუმრო კომპლექს „ბაგრატი 1003“-ში იდღესასწაულა. ღონისძიების ორგანიზატორი ქუთაისელ ებრაელთა საქველმოქმედო ფონდის „ხესედ-აბული“ — 97-ის დირექტორი გიგა ხოტოველი გახლდათ. ზეიმზე მოწვეული იყვნენ ქართული და ქართველ ებრაელთა ინტელიგენციისა და მასმედიის წარმომადგენლები.

პირველი სანთლის ანთების პატივი გიგა ხოტოველს მეუღლესთან ერთად ხვდა წილად. ბატონმა გიგამ თქვა „ეს არის ერთ-ერთი მთავარი ებრაული დღესასწაული! სასწაულის დღესასწაული, იმ მხრივ, რომ ზეთი, რომელიც ერთ დღეს უნდა ჰყოფნოდათ, მთელი რვა დღის განმავლობაში ეყოთ.

მთელი საქართველოს ებრაულ თემს ვულოცავ ამ დღესასწაულს. ვუსურვებ სინათლეს, სიმართლეს და სიძლიერეს!“

მეორე სანთელი ქუთაისის ებრაული თემის თავმჯდომარემ მოსე ბალუაშვილმა მეუღლესთან ერთად აანთო, მესამე — ექიმმა კარდიოლოგმა შალვა ბუზიაშვილმა მეუღლესთან ერთად, მეოთხე სანთელი — ბიზნესმენმა ნატო კვანტალიანმა, მეხუთე — ბიზნესმენმა გენო გოგლიჩიძემ, მეექვსე აკადემიკოსმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტმა, ჟურნალ „ნოსტალგიის“ მთავარმა რედაქტორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, რომელმაც აღნიშნა: „მე ძალიან მიხარია, რომ ებრაელ ხალხთან, ქართველ-ებრაელთა წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენ, ქართველებიც ვიღებთ მონაწილეობას ამ დღესასწაულში“.

ვიოლეტა ბუზიაშვილი

თბილისში გაიმართა გზამკვლევის — „საქართველოს სინაგოგები“ პრეზენტაცია



THE SYNAGOGUES IN GEORGIA

Ashkinazi Synagogue was built in XIX century. It was Restoced in 2008-09 year with the sponsorship of Mr. A. Mashkevich, President of Euro Asian Jewish Congress, and was named in honor of his mother "Beit Rakhel".

13 იანვარს, თბილისში, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში გაიმართა პრეზენტაცია გზამკვლევისა — „თბილისის სინაგოგები“, რომლის ავტორია ფონდის დირექტორი, ევრაზიული კონგრესის გენიალური საბჭოს წევრი ელენა ბერკოვიჩი.

ეს პირველი საჭირო და საინტერესო საქმეა საქართველოში ებრაული მემკვიდრეობის შესახებ. გზამკვლევი ტურისტებისთვისაა განკუთვნილი.

ბუკლეტის პრეზენტაციამ ებრაულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. აღნიშნეს ნამუშევრის უნიკალურობა.

პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ ისრაელის საელჩოს, ამერიკული ებრაული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთის“, საქართველოში ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ და ებრაული საზაოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები. დამსწრეებმა მაღალი შეფასება მისცეს ავტორის იდეას და იმედი გამოთქვეს საქართველოში ებრაული მემკვიდრეობის მასალების გამოქვეყნების შესახებ.

საქართველოში ისრაელის ელჩი ბ-ნი იცხაკ გერბერგი პირველი გამოეხმაურა გზამკვლევის გამოსვლას, სამუშაოს უწოდა შინაარსიანი, საჭირო და მაღალი შეფასება მისცა ავტორის მუშაობას.

„ევრეისკიე ნოვოსტი“, 17 იანვარი

ბატონ მიხეილ როკეტლიშვილს

ძვირფასო ბატონო მიხეილ!

წუხელის გვიან დავბრუნდი შინ, ამ დილით მითხრეს, დაგირეკიათ. ძალიან შეწუხებული არისო.

რამდენიმე დღის წინათ სატელეფონო საუბარშიც მითხარით: მირეკავენ და მეუბნებიან, თითქოს ,,მენორას“ გასული — 2011 წლის 24-ე ნომერში აუგად ხართ მოხსენიებული.

მე გთხოვთ არ დაიჯეროთ ასეთი ინტერპრეტაცია. — მე თქვენ დიდ პატივს გცემდით და გცემთ როგორც კეთილშობილ, პატიოსან ადამიანს.

ჩემს ტექსტს არასწორ, მათთვის სასურველ ინტერპრეტაციას აძლევენ ადამიანები, რომლებსაც სურთ ამ ხმაურით გადაფარონ მათი ზნეობრივი ბრალეულობანი. ეგენი ხვალ კიდევ უფრო ბინძურ ხმებს გაავრცელებენ. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა.

მე კვლავაც ვრჩები იმ ტექსტის ერთგულად, რომელიც თქვენი 80 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ახლახან გამოგიგზავნეთ ,,მენორას“ გასული წლის 24-ე ნომერი, გაეცანით და დარწმუნდებით, როგორ იტყუებიან ადამიანები.

გურამ ბათიაშვილი
4 იანვარი, 2012 წელი

P.S. „მენორას“ წინათ ნომერში ვწერდით, „ამერიკის აკადემიკოსობა“ 250 დოლარი ღირს. ბატონმა მიხეილ როკეტლიშვილმა დააზუსტა: „ამერიკის აკადემიკოსობა“ გაიაფებულა: საკმრისია $100 საწევროს შეტანა და „ამერიკის აკადემიკოსობა“ მის მაძიებელს განაღდებული აქვს. ამით აყრიან ხალხს თვალში ნაცარს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003